1212 2000 125
ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია "აფხაზეთის" განცხადება

ა. წ. 10 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში გაიმართა ქართული და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა. ამგვარი ღონისძიებები ადრეც არაერთხელ ყოფილა ორგანიზებული სხვადასხვა შემადგენლობით, სხვადასხვა ქვეყანაში და განსხვავებული დღის წესრიგით, რაც, ჩვენი აზრით, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების რთულ პროცესში დადებითი ტენდენციების სტიმულირებას უწყობს ხელს და შესაძლებელია გახდეს სერიოზული პოლიტიკური რეზერვების მქონე ფაქტორი.

გავრცელებული ინფორმაციით სოხუმიდან ჩამოსული დელეგაცია მონაწილეობდა ქართულ-აფხაზური პრობლემებისადმი მიძღვნილი ერთობლივად გამოცემული წიგნის პრეზენტაციაში, სატელევიზიო დებატებში; ოფიციალურ მიღებაზე იყვნენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, იუსტიციის სამინისტროში. ცნობილია, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე სხვა საკითხებთან ერთად მსჯელობა იყო აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის მოხსნის შესაძლებლობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების ფუნქციონირებისა და სხვა საკითხებზე.

ამასთან, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული შეხვედრების ორგანიზატორებს "გამორჩათ" ამ ღონისძიებებში ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების მონაწილეობა, ან თუნდაც საქმის კურსში ჩაყენება, როგორიცაა: განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო, ფრაქცია "აფხაზეთი", აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია, პარლამენტის აფხაზეთის დეპუტაცია, დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლები, ე. ი. ის სტრუქტურები და ადამიანები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმულნი აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესში; არსებითად ამ მიზანს ემსახურება მათი ფუნქციონირება ქვეყანაში.

აღნიშნული და მსგავსი ფაქტორების გამო ჩვენ ადრეც გამოგვითქვამს და დღესაც ვადასტურებთ უკმაყოფილებას ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მოქმედების მეთოდებისა და მუშაობის სტილთან დაკავშირებით, რომელშიც არც თუ იშვიათია ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ზიანის მომტანი გაუთვალელი ნაბიჯები. უფრო მეტიც, საზოგადოებაში სულ უფრო მტკიცდება აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს მეგობარი ქვეყნებიდან სერიოზული დაფინანსების პირობებში მათ საქმიანობაში ფეხს იკიდებს კორპორატიული ტენდენციები, რომლებსაც ობიექტურად ძნელად ვიწრო ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილებამდე მივყავართ.

მიგვაჩნია, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის ნებისმიერ დონეზე განხილვისას დაინტერესებული სახელისუფლებო სტრუქტურების საქმის კურსში ჩაყენება, მოლაპარაკებებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა არათუ მიზანშეწონილია, არამედ აუცილებელიც, მით უფრო, რომ ეს მათი უშუალო მოვალეობაა. არავის არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი, რომ აღნიშნული სტრუქტურების ნებსითი თუ უნებლიე იგნორირება, რასაც ამ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ხელს არ შეუწყობს ქვეყნისთვის უპირველესი პრობლემის სამართლიან და ღირსეულ მოგვარებას.

2000 წლის 12 დეკემბერი,
ქ. თბილისი.